



## სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

### საერთო კრების ოქმი N13

23 დეკემბერი, 2018 წელი

კრების ჩატარების ადგილი:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ჭავჭავაძის გამზირი N1, თბილისი

დღის წესრიგი:

1. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;
2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა;
3. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა;
4. ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს 2018 წლის ანგარიშის წარდგენა;
5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა;
6. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, ასოციაციის წესდებაში ცვლილებების დამტკიცება;
7. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების ცვლილებების დამტკიცება;
8. საერთო კრების შეჯამება.

## **წევრთა რეგისტრაცია**

წევრთა რეგისტრაცია დაიწყო 10 საათზე და კრების გახსნის დროს 11 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 224 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ქვორუმის არარსებობის გამო თავმჯდომარემ გამოაცხადა ხელახალი რეგისტრაცია განმეორებითი საერთო კრებისათვის, რომელიც დაიწყო 11 საათზე და 12 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 288 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ 24-ე მუხლი 1-ლი პუნქტის თანახმად ქვორუმის არსებობის საფუძველზე კრება უფლებამოსილია იმსჯელოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

12 საათსა და 26 წუთზე საერთო კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - დავით ასათიანის მისასალმებელი სიტყვით.

## **საკითხი 1. ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა**

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის წევრობის კანდიდატები: 1. დავით მუმლაძე; 2. ირაკლი ჩომახაშვილი; 3. გიორგი ქათამაძე; 4. თამთა დევდარიანი; 5. ანა კოტეტიშვილი; 6. ალექსანდრე ამამუკელი; 7. ნათია თავზარაშვილი; 8. არჩილ კაიკაციშვილი; 9. მამუკა ჭუმბაძე; 10. დავით ჭიკაიძე; 11. ლიანა ბერიანიძე; 12. ნანა ნანსყანი; 13. შორენა ბარათაშვილი; 14. როლანდ შონია; 15. მარინა ძამსაშვილი.

მოცემულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი, შემდეგი შემადგენლობით: 1. დავით მუმლაძე; 2. ირაკლი ჩომახაშვილი; 3. გიორგი ქათამაძე; 4. თამთა დევდარიანი; 5. ანა კოტეტიშვილი; 6. ალექსანდრე ამამუკელი; 7. ნათია თავზარაშვილი; 8. არჩილ კაიკაციშვილი; 9. მამუკა ჭუმბაძე; 10. დავით ჭიკაიძე; 11. ლიანა ბერიანიძე; 12. ნანა ნანსყანი; 13. შორენა ბარათაშვილი; 14. როლანდ შონია; 15. მარინა ძამსაშვილი. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა როლანდ შონია.

## **საკითხი 2. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა**

ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2018 წლის იანვარ-დეკემბრის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი N1).

### **საკითხი 3. ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა**

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, თორნიკე ბაქრაძემ წარმოადგინა ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2018 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი N1).

### **საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს 2018 წლის ანგარიშის წარდგენა**

საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ყანდაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში საგანმანათლებლო საბჭოს მიერ 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი N1).

### **საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის 2018 წლის ანგარიშის წარდგენა**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, რაჟდენ კუპრაშვილმა კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობისა და ხარჯების შესახებ (დანართი N1).

### **საკითხი 6. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად ასოციაციის წესდებაში ცვლილებების დამტკიცება**

კრების თავმჯდომარემ საერთო კრებას გააცნო “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შედეგად ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც განსახილველად განთავსებული იყო ასოციაციის ვებ-გვერდზე.

წარმოდგენილი სახით წესდების ცვლილებებზე დამატებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

კრების თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად (284 მომხრე, 1 წინააღმდეგი) მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის წესდებაში შესატანი ცვლილებები კრებაზე წარმოდგენილი სახით და ასახულ იქნას წესდების საბოლოო რედაქციაში (დანართი N2).

## საკითხი 7. “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებაში შესატანი ცვლილებების დამტკიცება

კრების თავმჯდომარემ საერთო კრებას გააცნო ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც განსახილველად განთავსებული იყო ასოციაციის ვებ-გვერდზე.

კრების თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატების პერსონალური მონაცემების ახლებურად დამუშავების წესზე. თავმჯდომარის განმარტებით, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, რამდენიმე წელია, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები სახდელდადებული ადვოკატების სახელის, გვარისა და სიითი ნომრის მითითებით ქვეყნდებოდა ასოციაციის ვებ-გვერდზე და აღნიშნულის განთავსება ხდებოდა განუსაზღვრელი ვადით, რაც არ შეესაბამებოდა არც პირის პერსონალური მონაცემების დაცვის და არც ადვოკატის პროფესიული საქმიანობის თავისუფლად და შეუზღუდავად განხორციელების ინტერესებს. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად კი, მოცემული ინფორმაციის გასაჯაროება უვადოდ განთავსების ნაცვლად, დისციპლინური პასუხისმგებლობის სახის შესაბამისად, კონკრეტული ვადებით იქნებოდა შემოსაზღვრული და აღნიშნული ვადების გასვლის შემდეგ ვებ-გვერდზე განთავსებულ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებებში ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი დაიფარებოდა (დაიშტრიხებოდა) და არ იქნებოდა უვადოდ ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის.

შემოთავაზებულ ცვლილებებზე თავმჯდომარემ საერთო კრების დამსწრე ადვოკატებს განუმარტა, რომ კრების რეგლამენტის მიხედვით შესაძლებლობა აქვთ დააფიქსირონ მოსაზრებები და იქვე შეახსენა, რომ რეგლამენტის 4.1.2 პუნქტის თანახმად გამომსვლელს სიტყვას აძლევს კრების თავმჯდომარე და გამომსვლელის სიტყვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ წუთს.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს ადვოკატებმა: მამუკა ნოზაძემ, ლაშა ჯანიბეგაშვილმა და ალექსანდრე ამაშუკელმა. ცვლილებების წარმოდგენილი ფორმით დამტკიცებაზე მოსაზრებები გამოთქვეს ადვოკატებმა: ონისე მარგიანმა და დავით გირგვლიანმა. ადვოკატთა მოსაზრებების მოსმენისა და დისკუსიის შემდეგ, კრების თავმჯდომარემ აღნიშნული საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგად (280 მომხრე, 4 წინააღმდეგი, თავი შეიკავა 2-მა ადვოკატმა), მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დამტკიცდეს “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულებაში შესატანი ცვლილებები კრებაზე წარმოდგენილი სახით და ასახულ იქნას დებულების საბოლოო რედაქციაში (დანართი N3).

## საკითხი 8. საერთო კრების შეჯამება


კრების თავმჯდომარემ შეაჯამა საერთო კრებაზე განხილული საკითხები და აღნიშნა, რომ საკითხები განხილულ იქნა ასოციაციის წესდებისა და აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბერს დამტკიცებული საერთო კრების რეგლამენტის შესაბამისად.

15 საათსა და 13 წუთზე კრების თავმჯდომარის მიერ კრება დახურულად გამოცხადდა.

დანართი N1: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის საქმიანობის ანგარიში;

დანართი N2: საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების საბოლოო რედაქცია;

დანართი N3: “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების საბოლოო რედაქცია.



დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე